



## ციხელაშვილი: პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან არ ნიშნავს მათი სუვერენიტეტის აღიარებას

პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის რუსეთისადმი მიმართვისა და ქეთევან ციხელაშვილის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის განმარტებების შემდეგ *ნებებამეთთან* ინტერვიუში მინისტრი საუბრობს აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის შესახებ საკუთარ ხედვაზე.

ქალბატონო ქეთევან, თქვენ აცხადებთ, რომ პრემიერის მიმართვის შემდეგ თქვენი პირველი განცხადება აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის შესახებ არასწორად გაიგეს. იქნებ განმარტოთ, როგორი უნდა იყოს პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან?

ჩვენთვის სამშვიდობო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები დიდი ხანია არის მონიშნული. პირველი, რაც ამ პოზიციაზე დანიშვნის შემდეგ გავაკეთე, რვა

პრიორიტეტული ამოცანის გამოქვეყნება იყო, ამ ამოცანებს შორისაა სწორედ პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან. ასევე, ის ამოცანები, თუ როგორ უნდა წარიმართოს ეს დიალოგი.

მთავარია, სწორად აღვიქვათ, რომ საუბარია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე და იმ საჭიროებაზე, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები გვაქვს დასალაგებელი.

პირდაპირი დიალოგი თავისთავად გულისხმობს ძალიან ფართო კონტექსტს, ეს შეიძლება იყოს სახალხო დიპლომატიის არხები. მაგალითად, კონკრეტულ საკითხებზე, იმავე ჰუმანიტარულ ან სხვა პრაგმატულ საკითხებზე ექსპერტების ჩართულობა, ან დე ფაქტო ხელისუფლებასთან ურთიერთობა და დიალოგი. თუმცა, ცხადია, არაპოლიტიზებულ და სტატუს-ნეიტრალურ ფორმატში.

ეს დიალოგი ნიშნავს თუ არა იმას, რომ ჩვენ ვაღიარებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტს? ბუნებრივია, ეს ასე არ არის. ჩვენ წარსულშიც და ახლაც გარკვეული გამოცდილება გვაქვს იმისა, თუ როგორ შეიძლება ამ დიალოგის წარმოება ისე, რომ აღიარების თემას არ შევეხოთ.

საერთო კომისიაც კი გვექონია აფხაზებთან და დოკუმენტებზე მხარეების ხელმოწერებიც არსებობს. მოგეხსენებათ, 2008 წლამდე სხვა მოცემულობა გვექონდა. 2004 წელს მაშინდელი სახელმწიფო მინისტრი ხაინდრავა პირადადაც ხვდებოდა, მათ შორის, ცხინვალში, დე ფაქტო წარმომადგენლებს. თბილისშიც ყოფილა იმ წლების განმავლობაში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი და, ბუნებრივია, ეს აღიარებას არც და ვერც დაუკავშირდებოდა.

## **დღეს რა ტიპის არხები აქვთ პირდაპირი დიალოგისთვის მხარეებს?**

მიუხედავად მზარდი შეზღუდვებისა, ბოლო წლების განმავლობაში 350-ზე მეტი ნდობის მშენებლობის პროექტი ხორციელდება. ბოლო წლებთან შედარებით გასულ წელს ყველაზე მეტი შეხვედრა გვექონდა, მათ შორის, ამ სახელმწიფო უწყების თანამშრომლების ჩართულობით.

ამის პარალელურადაც უამრავი პროექტია. როდესაც საზოგადოების წევრები, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს. ეს,

ბუნებრივია არანაირად უკავშირდება აღიარების პოლიტიკას, თუმცა ჩვენი გადასახედიდან ისინი საჭიროა. ჩვენი მზაობის მიუხედავად, ასეთი ტიპის მაღალი დონის დიალოგი უფრო უკუგების არქონის გამო არ გვაქვს, ვიდრე იმის გამო, რომ ჩვენ ეს ნაბიჯები არ გადაგვიდგამს.

ამ განცხადებით პრემიერმა ამის შესახებ მზაობა საჯაროდ კიდევ ერთხელ დააფიქსირა. ძალიან საყურადღებოა ის, რა კონტექსტშიც თქვა მან ეს. ამ განცხადებაში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ რუსეთი უნდა იყოს კონსტრუქციული ამის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელი არ შეუშალოს პირდაპირ დიალოგს, არ იყოს დესტრუქციული. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ეს განცხადება, ვინაიდან წარსულში პირდაპირი არხების განვითარების ხელის შეშლის მცდელობები და ზეწოლის პრეცედენტები გვქონია.

**რადგან პრემიერის მიმართვას შიშვხვით, გვითხარით, რამდენად იყო შეჯერებული ეს განცხადება იმ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, რომლებიც კონფლიქტებზე მუშაობთ ქვეყანაში. რამდენად იყავით საშმის კურსში, რომ მსგავსი განცხადება კეთდებოდა?**

მე უკვე გავაკეთე ამის შეფასება და აუცილებლად გავიმეორებ. ეს არის დიდი პასუხისმგებლობით გადადგმული და სწორი ნაბიჯი. ეს განცხადება რეალურად გაკეთდა მძიმე ვითარების დროს, ბოლო ტრაგიკული ფაქტის ფონზე, რომელიც უკავშირდება ტატუნაშვილის ტრაგედიას და ახლა უკვე მისი ცხედრის გადმოსვენების გაჭიანურებას. ასევე, მასთან ერთად ორი ჩვენი მოქალაქის აქეთ გადმოსვლის პრობლემის დროს გაკეთდა ღია განცხადება იმ აქტორის მიმართ, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა იმ მოვლენებზე, რაც დღეს ორივე რეგიონში ხდება.

ის ასევე გაკეთდა იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვა პრობლემების სიმწვავისთვის და სიმძაფრისთვის; რომ აუცილებელია ასეთ დროს პასუხისმგებლიანი ნაბიჯის გადადგმა სიტუაციის დეესკალაციისთვის. საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლავთ მშვიდობა, პროვოკაციებში ჩართული რომ არ აღმოვჩნდეთ. ეს იყო ჩვენი მანიფესტი, რომ ვართ ქვეყანა, რომელსაც სურს მშვიდობიანი განვითარება და სურს დაიცვას საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე და უსაფრთხოება.

ეს იყო განცხადება იმისა, რომ აუცილებელია, დავძლიოთ რუსულ-ქართული მთავარი პრობლემა და გამოწვევა – კონფლიქტი, განსაკუთრებით ის სიტუაცია, რომელიც 2008 წლიდან მივიღეთ.

ეს იყო არა მხოლოდ მზაობა ნაბიჯების გადადმისა, ასევე- გაცხადებული პოლიტიკა, თუ როგორ ვართ მზად გადავდგათ ეს ნაბიჯები.

აქ ითქვა, რომ სწორედ რუსეთთან წარმოგვიდგენია ამ საკითხის მოგვარება ჟენევის ფორმატში, პრემიერის ინიციატივა კი, რომელიც მან პარლამენტშიც გაახმიანა, ამის დასტურია. საჭიროების შემთხვევაში ის მზად არის თავადაც, უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღების დონეზეც ჩაერთოს ჟენევის დისკუსიებში, რათა არსებითი ნაბიჯები გადაიდგას და ეს ფორმატი უფრო ეფექტური გახდეს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მომდევნო რაუნდზე უკვე პრემიერი წავა და არსებულ შემადგენლობაში მიიღებს მონაწილეობას. ეს არის ჩვენი მზიდან გაცხადებული მზაობა, რომ ასეთივე უკუგების შემთხვევაში ეს ნაბიჯი გადაიდგმება.

მიმართვაში მეორე მიმართულებაც მოინიშნა – პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან, ამ კონტექსტში კი მნიშვნელოვანია ამ დიალოგს ხელი არ შეემალოს.

## **რამდენად არის რუსეთის პასუხი თქვენთვის დამაკმაყოფილებელი? ელოდით ასეთ პასუხს?**

ძალიან უცნაური იქნებოდა, ზემოლოდინი გვექონოდა, რომ რუსეთი თვისობრივად განსხვავებულ, ახალ ნაბიჯს გადმოდგამდა. ჩვენი, ხელისუფლებისა და ძალიან მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოხელეების ვალდებულებაა, გადავდგათ ყველა საჭირო ნაბიჯი, რომ არ მოხდეს შემდგომი ესკალაცია და მოგვარდეს კონკრეტული საკითხები, ამავდროულად, ვიმომძრაოთ მთავარი გამოწვევის დაძლევისკენ.

რუსეთის პასუხთან დაკავშირებით პრემიერმა განცხადება გააკეთა. იქ ძალიან ბევრი პასაჟია. თუმცა მან ასევე განაცხადა, რომ ტოვებს სივრცეს საუბრისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ დიახ, ქართული მხარე მზად არის კონსტრუქციულად ჩაერთოს ჟენევაში და იმედი გვაქვს, რომ შესაბამისად, რუსეთიც კონსტრუქციულად ჩაერთვება და იმ საკითხებზე გვექნება პროგრესი,

რომელიც ჟენევის დღის წესრიგსა და რუსეთის პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს უკავშირდება.

**თუ დღემდე არ არსებობს ჟენევაში პროგრესი, რა შეიძლება შეიცვალოს თუნდაც პრემიერის ჩართვით, გარდა იმისა, რომ პრემიერი თანამდებობით უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე დისკუსიის სხვა მონაწილეები?**

ეს ტექნიკური საკითხი არ არის. პრემიერის წინადადება მხოლოდ ის არ არის, რომ პირადად მიიღებს მონაწილეობას. ამას სხვა პოლიტიკური დატვირთვა აქვს. აქ იგულისხმება ისიც, რომ მზაობის შემთხვევაში რუსეთის მხრიდან გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები.

**ანუ ეს კეთდება იმისთვის, რომ ქართულ-რუსული დიალოგი გაძლიერდეს და არა იმისთვის, რომ აფხაზეთიდან და ოსეთიდანაც დე ფაქტო ლიდერები ჩამოვიდნენ მასთან სასაუბროდ?**

ჟენევაში ახლაც არიან დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ჩართული. ბუნებრივია, ჩვენ მათთან ვსაუბრობთ საკითხებზე, მაგრამ პრემიერმა იქვე მონიშნა, თუ რა ფორმატში ფიქრობს რუსეთთან ასეთი ტიპის დიალოგის წარმოებას და ეს არის ჟენევა. რაც შეეხება პირდაპირ დიალოგს, წარმოგვიდგენია, რომ ასეთი ფორმატების დიალოგები შეიძლება გვექონდეს, აღიარების თემებთან კავშირის გარეშე და სტატუს-ნეიტრალურ ფორმატში.

**რამდენად არიან ასეთი პირდაპირი დიალოგისთვის მზად სხვა სტრუქტურები? თქვენმა წინამორბედმა კაატა გაქარაიშვილმა ჩვენთან ინტერვიუში ორ ფაქტზე ისაუბრა, სადაც ჩანს, რომ გიორგი კვირიკაშვილმა უარი თქვა პირისპირ შეხვედრის პროცესში ჩართვაში, როდესაც საქმე ეხებოდა პატიმრების გაცვლას და ენგურის ხიდის გახსნას. თქვენც მუშაობდით მაშინ მინისტრის მოადგილის რანგში, ალბათ იცით ამ ფაქტების შესახებ.**

ჩემთვის ასეთი ფაქტების შესახებ ცნობილი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მე აქ ვმუშაობდი. თუმცა მინდა ძალიან ცალსახად ვთქვა, რომ ზუსტად პრემიერი კვირიკაშვილი არის ის ადამიანი და ლიდერი, რომელმაც ასე ღიად,

მიუხედავად ძალიან ბევრი არასწორი ინტერპრეტაციისა, თავისი ნებით, არაერთი სამშვიდობო ინიციატივა უკვე განახორციელა. ეს მზაობა მისი მხრიდან, რა თქმა უნდა, არსებობს და არა მარტო მზაობა, ძალიან დიდი ძალისხმევაც, პოლიტიკური ნებაც და ის განცხადებაც ამაზე მეტყველებს.

## **იქნებ შენთვის დისკუსიების ფორმატის ცვლილებების სურვილზე ვინააუბროთ, რა ცვლილებებზეა საუბარი?**

ფორმატის შეცვლაზე არ არის საუბარი, საუბარია დონის აწევაზე. პრემიერის განცხადება გაკეთდა იმ ადრესატის მიმართ, საიდანაც უკუგების არსებობის შემთხვევაში განხილული იქნებოდა ასეთი დონის მონაწილეობა.

## **იმ შემთხვევაში, თუ შენვეაში მონაწილეთა დონე აინფს, ვის მოიაზრებთ მონაწილედ, მაგალითად, რუსეთიდან?**

როცა ასეთ დონეზეა საუბარი, უკუგების შემთხვევაშიც შესაბამისი დონე უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგრამ დონეს თავი დავანებოთ, ეს უკვე პოლიტიკური ნების საკითხია. ამის დანიშნულება გახლავთ ის, რომ არსებითი ნაბიჯები გადაიდგას პროგრესისთვის, მოგვარდეს ის, რაც არის მოსაგვარებელი.

## **ბაქვთ ამის იმედი?**

ჩვენ გვაქვს ვალდებულება, გადავდგათ ყველა ნაბიჯი, რომელიც ამ მიზანს მოემსახურება. არ გვაქვს არანაირი უფლება, რომ არ გადავდგათ ეს ნაბიჯები. ზუსტად ამიტომ მგონია, რომ მათ შორის საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, საკმაოდ ერთხმად და უნისონში, ამ განცხადებას ჰქონდა ძალიან პოზიტიური შეფასებები და ჩვენმა პარტნიორებმა სწორედ ამ კონტექსტში აღიქვეს ეს, რომ საქართველო დგამს ყველა ნაბიჯს, ეს ის ქვეყანაა, რომელიც არის მშვიდობაზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული და აქვს ხედვა და გეგმა, როგორ წაიყვანოს პროცესი წინ.